კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სკოლის შესახებ

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლისთვის პრიორიტეტია განათლების მაღალი ხარისხი. ამიტომ, ის ცდილობს შექმნას ისეთი დინამიური გარემო, სადაც სტუდენტები თანამედროვე ცოდნას შეიძენენ და სამყაროში დღეს არსებული ინტელექტუალური გამოწვევებისთვის მოემზადებიან.

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა სამაგისტრო საფეხურზე ორ პროგრამას ახორციელებს: კლინიკური ფსიქოლოგია და კლინიკური არტთერაპია. კლინიკური ფსიქოლოგია 2016 წლიდან მოქმედებს. მას ხელმძღვანელობს სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის აღიარებული სპეციალისტი, ფსიქოლოგიის დოქტორი ქეთევან ჩიგოგიძე.

კლინიკური არტთერაპია სკოლას 2019 წელს დაემატა. პროგრამის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ცნობილ ფსიქოლოგს, არტთერაპევტ ნათია ფანჯიკიძეს. პროგრამაზე სტუდენტების მიღება წელს პირველად განხორციელდება.

კლინიკური არტთერაპია

კავკასიის უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც არტთერაპიის სწავლებას აკადემიურ სივრცეში განახორციელებს.

პროგრამის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს მენტალური თერაპიის დარგში, მსოფლიოში ფართოდ დანერგილი არტთერაპიული მეთოდის თეორია და პრაქტიკა და მოამზადოს კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტები არტთერაპიის სპეციალიზაციით.

პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული და ჰუმანიტარული სასწავლო კურსების ერთობლიობა წარმოადგენს არტთერაპევტის მსოფლმხედველობის და სისტემური აზროვნების ჩამოყალიბების გარანტიას.
პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

რა საგნებს ისწავლით პროგრამაზე

კლინიკური ფსიქოლოგია (სამი სემესტრი), ფსიქოანალიზი (სამი სემესტრი), არტთერაპიული მიდგომის თეორიები, არტთერაპია ფსიქიკური დარღვევებისას, არტთერაპიის მეთოდები, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, სემიოლოგიის საფუძვლები, ფილოსოფია, თეოლოგია, ლიტერატურა და სხვ.

პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა, რომელსაც სტუდენტები გაივლიან ფსიქოთერაპიის სახლ „კამარას“, „ლივინგ მუზეუმის“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე.
პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელია ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე.

მიღების წესები

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- არანაკლებ ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა (ტესტირება/გასაუბრება)
- ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის დანართი ან სერტიფიკატი). სხვა შემთხვევაში აპლიკანტს დაენიშნება შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება ინგლისურ ენაში

CU დაფინანსება

მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება სახელმწიფო გრანტთან ერთად შეგიძლიათ CU გრანტით, რომელიც გულისხმობს 50%-იან დაფინანსებას პროგრამის სრულ ღირებულებაზე.

CU გრანტის მოპოვების ორი შესაძლებლობა არსებობს

- თუ ხართ ნებისმიერი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული და გაქვთ ბაკალავრიატის ჯამურ ქულათა საშუალო შეწონილი (GPA) 3.5 და მეტი
- თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დააგროვებთ 90 000 საგრანტო ქულაზე მეტს

თუ ორი პირობიდან რომელიმეს აკმაყოფილებთ, შესაძლებლობა გექნებათ ჩაერთოთ საგრანტო კონკურსში და მოიპოვოთ CU გრანტი.

წლიური საფასური MBA	CU გრანტის მოპოვებისას (სახ. გრანტის გარეშე)	CU და სახელმწიფო გრანტის მოპოვებისას
4950 ლარი	2475 ლარი	1350 ლარი

საკონტაქტო ინფორმაცია

თინათინ გიორგაძე
საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (432)
მობ: 599 795 554
ელ. ფოსტა: tgiorgadze@cu.edu.ge

დავით ნატროშვილი
დეკანი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (260)
მობ: 577 905 990
ელ. ფოსტა: dnatroshvili@cu.edu.ge

მის. პაატა სააკაძის ქ.1

www.cu.edu.ge